ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება
G E O R G I A
THE ORDER OF THE ASSEMBLY OF MESTIA MUNICIPALITY

განკარგულება:**g-135.135220312**
თარიღი:**31/01/2022**

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საჯარო მოსამსახურეებზე საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ და ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად:

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება:

1.განისაზღვროს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საჯარო მოსამსახურეებზე საწვავის ლიმიტის ოდენობა **(დანართი №1–ის)** შესაბამისად;

2.განისაზღვროს მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე ბიუროსა და საკრებულოს სხდომაზე გამოცხადებისათვის გასაცემი საწვავის ლიმიტის ოდენობა **(დანართი №2–ის)** შესაბამისად.

3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირებზე და საჯარო მოსამსახურეებზე საწვავის ლიმიტის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 13 იანვრის **№3** განკარგულება

4. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს მესტიის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების სამსახურს.

5. განკარგულება ამოქმედდეს ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის'' 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გაცნობისთანავე.

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში **(მის: ქ. ზუგდიდი, გრ. ქობალიას ქ. N–12**).

მაიზერ ჯაფარიძე

მესტიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

დ. მესტია/T. MESTIA. სეტის მოედანი #1/SETI SQUARE #1 ტელ: +995 599 85 55 40
ელ. ფოსტა: MESTIASAKREBULO@GMAIL.COM ვებგვერდი: WWW.MESTIA.GOV.GE